ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3712046

ნომერი: AR1560667

თარიღი : 27.11.2017

გაცემის თარიღი : 04.12.2017

გაცნობის თარიღი : 04.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი 3 , მიკრო/რაიონი 2 , კორპუსი 39-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ვარკეთილი 3, II მკ/რ , N39-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბი კობერიძე პ/ნ 35001008630
- თბილისი. პიკასოს7 #15

ორგანიზაცია:
- შპს "რიკონი+" კოდი: 200269075

ნომენკლატურა :
- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1560667 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: #01.19.39.009.089, 01.19.39.009.100) გაერთიანებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:
არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: #01.19.39.009.089, 01.19.39.009.100) გაერთიანებასთან დაკავშირებით.
ხოლო ვინაიდან ზემოაღნიშნულ საკადასტრო ერთეულისთვის (საკადასტრო კოდი: #01.19.39.009.089) დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია შესაბამისი მშენებლობის ნებართვა, აღნიშნულის განხორციელების შემდგომ, საჭირო იქნება ცვლილება შევიდეს ყველა ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში რომელიც გაცემულია მოცემული საკადასტრო ერთეული მიმართ.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.